


სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი

1. ზოგადი დებულებები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (შემდგომში - პოლიტიკა), მიზნად ისახავს ცენტრის საქმიანობის ხარისხის შეფასებას და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების აღწერას, რომლითაც ცენტრი ახდენს მისი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფასა და მუდმივ განვითარებას. პოლიტიკა ფარავს ცენტრის საქმიანობის ყველა მიმართულებას, შესაბამისობაშია ცენტრის დებულებასთან და მისი საქმიანობის მარეგულირებელ სხვა სამართლებრივ აქტებთან. პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს ცენტრის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ყველა ელემენტის ურთიერთქმედებას, ხოლო პროცესებზე პასუხისმგებლობა რეგულირდება ცენტრის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პოლიტიკა გამომდინარეობს ცენტრის ხედვიდან, მისიიდან და ღირებულებებიდან.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და დემინგის PDCA (Plan-Do-Check-Act) ხარისხის მართვის მოდელს. სისტემის ჩამოყალიბებით ცენტრი გამოხატავს მზადყოფნას, გააუმჯობესოს საკუთარი საქმიანობა, თითოეული პროცესის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების უწყვეტი ციკლით. ამასთან, განავითაროს ხარისხის მაღალი კულტურა.



2. პოლიტიკის ძირითადი ელემენტები:

ცენტრის შიდა ხარისხის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია:

- ცენტრის მისიისა და მიზნების მკაფიო განმარტება;
- ცენტრის მიერ საკუთარი საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვა;
- ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ცენტრის პროცესების ეტაპობრივი დაახლოება და საბოლოოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფა ევროპულ (ESG) სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან;
- ცენტრის მიერ საკუთარი საქმიანობის გამჭვირვალების უზრუნველყოფა;
- ანგარიშვალდებულების მექანიზმების შექმნა;
- ცენტრის თითოეული თანამშრომლის, მათ შორის ექსპერტის მიერ ეთიკის კოდექსის დაცვა;
- ხარისხის შიდა კულტურის განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა;
- თავისი საქმიანობის მონიტორინგისა და მუდმივი გაუმჯობესების მექანიზმების შექმნა;
- ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული თემებისა და მექანიზმების სისტემური ანალიზი;
- ცენტრის პერიოდული თვითშეფასება და გარე შეფასება, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

3. პოლიტიკის განხორციელების მექანიზმები

ხარისხის პოლიტიკის შესაბამისად, ცენტრი, იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შემდეგ მექანიზმებს:

- ✓ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება, მონიტორინგი და შეფასება;
- ✓ თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება და უკუკავშირის მიცემა;
- ✓ კომუნიკაცია სამსახურებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან;
- ✓ თვითშეფასება, განვითარება და შიდა ხარისხის კულტურის დანერგვა;
- ✓ მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები ეფექტიანი სისტემის განვითარებისთვის;
- ✓ სისტემური და ეფექტიანობის შეფასების მექანიზმები;

- ✓ ძირითადი პროცესების იდენტიფიცირება და მათ განხორციელებასთან დაკავშირებული რეგულაციების - (მარეგულირებელი დოკუმენტები, შესაბამისი ნორმები, პროცედურები და ინსტრუმენტები) შემუშავება და გამოქვეყნება.

ამ მიზნით ცენტრი იყენებს სხვადასხვა მიდგომებს, მათ შორის:

- რეგულარული შეხვედრები ცენტრის საკოორდინაციო საბჭოსთან და დებულებით განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესახებ საკითხების შეთანხმება;
- დაინტერესებული პირებისგან ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების შესახებ გამოხმაურებებისა და გაუმჯობესების წინადადებების შეგროვება სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით;
- რეგულარული შეხვედრები საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცესებთან დაკავშირებული სტანდარტების, პროცედურების და ინსტრუმენტების შემუშავების და გაუმჯობესების, ასევე, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განვითარების მიზნით;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების ექსპერტების საჭიროებებზე დაფუძნებული მულტიპროფესიული განვითარება და ცენტრის თანამშრომელთა შესაძლებლობების რეგულარული გაძლიერება;
- ცენტრის ყოველწლიური თვითშეფასება და გარე საერთაშორისო შეფასება ევროპული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად; უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA), უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპული რეესტრის (EQAR) და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) მიერ განხორციელებული გარე მექანიზმები;
- პროცესების განხორციელების შეფასებისა და განვითარების სხვა ინსტრუმენტები, მათ შორის, დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის პროგრამები (მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროკავშირის მხარდაჭერი პროგრამები, გაეროს განვითარების და იუნისეფის და სხვა პროგრამები).

ცენტრის ხელმძღვანელობა ვალდებულია ხელი შეუწყოს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განხორციელებას და მის პერიოდულ განახლებას, ცენტრსა და მის გარეთ შექმნილი განვითარების საჭიროებების გათვალისწინებით.

4. ცენტრის ხედვა, მისია, ღირებულებები

ცენტრის ხედვა: ცენტრი წარმოადგენს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მაღალი ნდობისა და აღიარების მქონე რეგიონულ ჰაბს, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებული სერვისების ფართო სპექტრს.

ცენტრის მისია: ცენტრის მისიაა განათლების ხარისხის განვითარების მხარდაჭერა, მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და საუკეთესო ადგილობრივ გამოცდილებაზე დაფუძნებული სერვისების გაწევისა და ხარისხზე ორიენტირებული მმართველობის გაძლიერების ხელშეწყობის გზით.

ცენტრის ღირებულებები: ცენტრი, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს სწავლის პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

- ✓ **ობიექტურობა:** ჩვენ მიერ განხორციელებული შეფასებები, ასევე თვითშეფასება ეფუძნება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს და ფაქტობრივ გარემოებებს. დადგენილი პროცედურები მაქსიმალურად გამორიცხავს შეფასებაში მონაწილე პირების სუბიექტივიზმს.
- ✓ **გამჭირვალობა:** ჩვენს საქმიანობაში მოქმედი სტანდარტები და პროცედურები, ჩვენი ხედვები და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია ყველა მხარისათვის. უზრუნველყოფილია ცენტრის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა.
- ✓ **მიუკერძოებლობა:** ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ცენტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა საუკეთესო ინტერესებს.
- ✓ **თანამშრომლობა:** ჩვენ ღია ვართ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისათვის. კონსტრუქციულად განვიხილავთ სიახლეებს, წინადადებებს, განსხვავებულ პოზიციებსა და ორიენტირებულნი ვართ პრობლემების გადაჭრაზე.

- ✓ განვითარება და ინოვაციურობა: სისტემატურად ვაფასებთ ჩვენ საქმიანობას და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ვგეგმავთ განვითარების ინოვაციურ გზებს. იმავეს ვთავაზობთ განათლების პროვაიდერებს და იმავეს ველოდებით ჩვენი პარტნიორებისაგან.

5. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

5.1. ცენტრის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

ცენტრის საქმიანობის გრძელვადიან (ხუთწლიანი სტრატეგიული ციკლი) და მოკლევადიან (ერთწლიანი) დაგეგმვას ემსახურება ცენტრის ხუთწლიანი სტრატეგიული დოკუმენტის და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება.

აღნიშნული პროცესი რეგულირდება ცენტრის დირექტორის 2021 წლის 20 იანვრის №14373 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესით“ გაწერილი პროცედურების და მეთოდოლოგიის შესაბამისად. ხოლო დაგეგმვის პროცესის კოორდინირებაზე პასუხისმგებელია ცენტრის დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტრატეგიისა და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს ცენტრის ყველა სტრუქტურული ერთეული, ცენტრის დირექტორის დაქვემდებარებაში მყოფი პირი და დაინტერესებული მხარეები.

ცენტრის **სტრატეგიული გეგმა** განსაზღვრავს ცენტრის სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს ხუთწლიანი პერიოდისთვის, აყალიბებს მიდგომებს დასახული მიზნების/ამოცანების განსახორციელებლად და პროგრესის შესაფასებლად ადგენს შედეგების ინდიკატორებს.

ცენტრის სტრატეგიის განხორციელების **სამოქმედო გეგმა** - კი განსაზღვრავს ცენტრის პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად კონკრეტულ აქტივობებს, მათი შედეგების ინდიკატორებს, ცენტრის პასუხისმგებელ და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს, შესრულების ვადებს, ბიუჯეტსა და დაფინანსების წყაროს ერთი კალენდარული წლისათვის.

ცენტრი ყოველწლიურად აჯამებს განხორციელებულ საქმიანობას და აქვეყნებს ელექტრონულ გვერდზე წლიური ანგარიშის სახით. ცენტრის ელექტრონულ გვერდზე, ასევე, ქვეყნდება ცენტრის ხუთწლიანი სტრატეგიის შეფასება.

5.2. ცენტრის ბიზნეს-პროცესები

ცენტრის საქმიანობის ძირითადი და დამხმარე პროცესები განსაზღვრულია ამ დოკუმენტის დანართი 1-ით. ცენტრის ბიზნეს პროცესების ხარისხის უზრუნველყოფა ემყარება ორგანიზაციული მენეჯმენტის ციკლის მოდელს - "Plan-Do-Check-Act", რომელიც პროცესების თანმიმდევრობას და ციკლურ ხასიათს ასახავს. როგორც „პირველი, მეორე და მესამე კატეგორიების კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის №646 დადგენილებით განსაზღვრული პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტი, ცენტრი ნერგავს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სტანდარტებს. დიდი ყურადღება ექცევა პერსონალურ მონაცემთა კანონიერად დამუშავებას. ცენტრი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ხარისხს, როგორც აუცილებელ მოთხოვნას თავისი საქმიანობის მუდმივი გაუმჯობესებისთვის.

5.3. საერთო შეფასების ჩარჩო (Common Assessment Framework - CAF)

საერთო შეფასების ჩარჩო (CAF) წარმოადგენს ადვილად გამოსაყენებელ, ინსტრუმენტს, რომელიც ეხმარება საჯარო ორგანიზაციებს, გამოიყენონ შიდა ხარისხის მართვის მექანიზმები, მათი მუშაობის გასაუმჯობესებლად. ის სპეციალურად შექმნილია საჯარო სექტორის ორგანიზაციებისთვის, მათი მახასიათებლების გათვალისწინებით. CAF-ის ცხრა ნაწილიანი სტრუქტურა განსაზღვრავს ძირითად ასპექტებს, რომლებიც საჭიროებს განხილვას ნებისმიერი ორგანიზაციული ანალიზის დროს. 1-დან 5-ის ჩათვლით კრიტერიუმები ეხება ორგანიზაციის მენეჯერულ პრაქტიკას და განსაზღვრავს რას აკეთებს ორგანიზაცია და როგორ უახლოვდება თავის ამოცანებს სასურველი შედეგების მისაღწევად. 6-დან 9-ის ჩათვლით კრიტერიუმებში, ძირითადად მოქალაქეების/მომხმარებლების, ადამიანების, სოციალური პასუხისმგებლობისა და ძირითადი საქმიანობის მიმართულებით მიღწეული შედეგები იზომება მათი აღქმისა და შესრულების გაზომვებით. შიდა ხარისხის მექანიზმების განვითარებისა და სრულყოფის მიზნით და საერთო შეფასების ჩარჩოს (CAF) ინსტრუმენტის გამოყენებით, ცენტრი მუდმივად აუმჯობესებს თავისი საქმიანობის ხარისხს და ამკვიდრებს მაღალი ხარისხის ორგანიზაციულ

კულტურას. ცენტრის სამსახურებთან გამოკითხვის შედეგად იდენტიფიცირდება შესაბამისი სამსახურის ძირითადი საჭიროებები და შესაბამისად, იგეგმება არსებული გამოწვევების საპასუხოდ განსახორციელებელი ღონისძიებები. CAF-ის განხორციელებაში ძალიან მნიშვნელოვანია პერსონალის ჩართულობა. ის წარმოადგენს მენეჯმენტისა და პერსონალის ერთობლივ პროექტს, რომლის მიზანია ორგანიზაციის ეფექტურობისა და ეფექტიანობის ამაღლების მისაღწევად სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

5.4. ადამიანური რესურსების მართვა და შეფასება

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიმართულებით, ცენტრში, საპილოტე რეჟიმში, მიმდინარეობს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავება, რასაც დიდი როლი გააჩნია ცენტრის შიდა ხარისხის სისტემის განვითარებაში. ადამიანური რესურსების შეფასების სისტემის მიზანია თანამშრომელთა საქმიანობის შესრულების ხარისხის გაუმჯობესება. ადამიანური რესურსების საქმიანობის შეფასების პროცესი უნდა განხორციელდეს სამუშაოს მიზნების/ამოცანების, თანამშრომელთა ფუნქციების, კომპეტენციების და დარგობრივი ცოდნის გათვალისწინებით. შეფასების სისტემის დანერგვა განხორციელდება ელექტრონული პორტალის საშუალებით. შეფასების სისტემა ითვალისწინებს შეფასების პროცესის პერიოდულ მართვას შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით და მის მონიტორინგს. შეფასების პროცესი მოიცავს როგორც თანამშრომელთა შეფასებას უშუალო ხელმძღვანელების მიერ, ასევე თანამშრომლის თვითშეფასებას.

პროფესიული განვითარების მიზანია თანამშრომელთა კომპეტენციების, ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების გაზრდა, შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება. პროფესიული განვითარების სისტემა ეყრდნობა წლის მანძილზე სწავლების საჭიროებების გამოვლენას, მათ შორის, ადამიანური რესურსების შეფასების სისტემიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. იგეგმება პერსონალის განვითარების ღონისძიებები, საჭიროების შემთხვევაში დგება განვითარების ინდივიდუალური სქემა. თანამშრომელთა პროფესიული განვითარება ხორციელდება როგორც გარედან მოზიდული სწავლების ფორმით, ასევე, ცენტრის შიდა რესურსით. ამ მიზნით ცენტრში შეირჩევიან შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე თანამშრომლები, რომლებიც თავიანთ ცოდნას გაუზიარებენ ცენტრში დასაქმებულ თანამშრომლებს.

5.5. ეფექტური კომუნიკაცია

სტრუქტურული ერთეულები წლიური სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას ახორციელებენ ელექტრონული მონიტორინგის სისტემის საშუალებით. შესრულებული სამუშაოს შედეგების განხილვა ხდება ხელმძღვანელობასთან პერსონალის შეხვედრების დროს. შედეგად, გამოვლენილი ხარვეზების, ან ხელისშემშლელი ფაქტორების შემთხვევაში, ხდება შესაბამისი რეაგირება, პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა და მისი გამოსწორება. ეფექტური შიდა კომუნიკაციისა და ნებისმიერ საკითხზე დროული რეაგირების ხელშემწყობი მექანიზმია პერსონალის პერიოდული შეხვედრები, რომელშიც მონაწილეობენ ცენტრისა და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ვალდებული არიან შეხვედრებზე განხილული საკითხების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ თანამშრომლებს. ასევე, ცენტრს ეფექტური კომუნიკაცია გააჩნია ქვეყანაში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

5.6 მონიტორინგისა და შეფასების ელექტრონული პორტალი

ცენტრის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ცენტრის ელექტრონული მონიტორინგის პორტალის საშუალებით. პორტალი უზრუნველყოფს ცენტრის საქმიანობის პროცესში გამოწვევების იდენტიფიცირებას, საქმიანობისა და სამუშაო პროცესების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების პროცედურის ეფექტურად განხორციელებას; ამავე დროს, ინფორმაციის გენერირებას და დახარისხებას ელექტრონული პორტალი ხელს უწყობს ცენტრში ინფორმაციისა და ცოდნის მენეჯმენტის სისტემის ჩამოყალიბებას.

მონიტორინგის და შეფასების პროცესის მიზანია ცენტრის სტრატეგიული მიზნებით, ამოცანებითა და მათი აქტივობებით განსაზღვრული შედეგების შესრულების მონიტორინგი, ხარვეზების გამოვლენა და რეკომენდაციების განსაზღვრა, შედეგებისა და მიღწევების დეტალური შესწავლა და შესაძლო გავლენის დადგენა. ცენტრის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ცენტრის

დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, ცენტრის დირექტორი და დირექტორის მოადგილეები.

ცენტრის სტრატეგიის განხორციელების შეფასება ხდება ორჯერ, შუალედური და შემაჯამებელი შეფასების სახით. შუალედური შეფასება ტარდება ახალი სტრატეგიული ციკლის დაწყებიდან მეოთხე წლის დასაწყისში. სტრატეგიის განხორციელების შემაჯამებელი შეფასება იწყება მიმდინარე სტრატეგიული ციკლის ვადის დასრულებიდან 6 თვის განმავლობაში. სტრატეგიული გეგმის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგად მუშავდება 2 ტიპის ანგარიში: ა) პროგრეს ანგარიში ბ) საქმიანობის წლიური ანგარიში.

5.7. სისტემური და ეფექტიანობის აუდიტორული შეფასება

შიდა აუდიტის სამსახური, ცენტრში შიდა ფინანსური კონტროლისა და რისკების მართვის სისტემის დანერგვის ფარგლებში, რისკის შეფასებისას, სამსახურის წლიური გეგმების შემუშავებისას ითვალისწინებს სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგებს/შეფასებას. შიდა აუდიტი ახორციელებს შესაბამისი პროცესების/სტრუქტურული ერთეულების აუდიტორულ შემოწმებას, მათ შორის სისტემურსა და ეფექტიანობის აუდიტებს. აუდიტის ფარგლებში გაიცემა რეკომენდაციები, რომელთა მიზანია სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის გაუმჯობესება, დამატებითი კონტროლის მექანიზმების დანერგვა და დასახული მიზნების ეფექტურად და ეფექტიანად მიღწევა. ასევე, გაუმჯობესების პოტენციალის გამოვლენა.

შიდა აუდიტის სამსახური, რისკის ანალიზის საფუძველზე, ადგენს წლიურ გეგმებს, რომლის მიხედვით ახორციელებს აუდიტორულ შემოწმებებს. აუდიტის ფარგლებში შესაბამისი მიგნებებისა და რისკების გათვალისწინებით გაიცემა რეკომენდაციები, რომლებიც თანხმდება აუდიტის ობიექტთან. შეთანხმების შემდეგ, აღნიშნული აუდიტის ანგარიში და გაცემული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა მტკიცდება და წარედგინება ცენტრის დირექტორს. რეკომენდაციების შესრულება არის სავალდებულო, დადგენილია შესრულების სავარაუდო ვადა და პასუხისმგებელი პირი/პირები/სტრუქტურული ერთეულები. შიდა აუდიტის სამსახური, პერიოდულად ახორციელებს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

5.8. მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა

ცენტრი ყოველწლიურად ატარებს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევას. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს წინასწარ იდენტიფიცირებული სერვისების მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირების კმაყოფილების ხარისხის შესწავლა და ასევე, სერვისების შემადგენელი გასაუმჯობესებელი კომპონენტების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რაც შიდა ხარისხის სისტემის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია.

5.9. ექსპერტთა კორპუსისა და საბჭოების წევრების შესაძლებლობების გაძლიერება

განათლების ყველა საფეხურზე, ცენტრი პერიოდულად ახორციელებს ექსპერტთა კორპუსისა და საბჭოების წევრების შესაძლებლობების გაძლიერებას. ამ მიზნის მისაღწევად ცენტრი ინტენსიურად ატარებს სხვადასხვა საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრებს და ტრენინგებს, რაც ხელს უწყობს ცენტრის შიდა ხარისხის სისტემების განვითარების პროცესს. ასევე, ხდება ექსპერტების შეფასება და ამის საფუძველზე მათი პროფესიული განვითარების დაგეგმვა.

5.10. საკანონმდებლო ცვლილებები

საჭიროებიდან გამომდინარე, ზემდგომი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, იურიდიული სამსახური საკუთარი, ან სხვა სტრუქტურული ერთეულის ინიციატივით, ასევე ცენტრის დირექტორის დავალებით, შეიმუშავებს არსებულ მარეგულირებელ დოკუმენტებში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს, რაც მიზნად ისახავს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/პასუხისმგებელი პირის უფლებამოსილებით აღჭურვას, პროცესის განხორციელების სრულყოფას, მისი განხორციელების ეფექტიანობის უზრუნველყოფას, პროცესის გაუქმებას, ან ახალი პროცესის დამატებას;

განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, ასევე, ხდება ინიცირება შესყიდვების გეგმაში მატერიალური და ტექნიკური ბაზის განახლების/სრულყოფის მიზნით, პროგრამული უზრუნველყოფის განახლების/შემდგენის მიზნით, რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი სამსახური.

6. დასკვნითი დებულება

პოლიტიკის დოკუმენტში შესწორებებისა და დამატებების შეტანის პროცესებს კოორდინაციას უწევს ცენტრის დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური. ცენტრის თითოეულ თანამშრომელს პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით შეუძლია წარმოადგინოს წინადადებები პოლიტიკის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ცენტრის მარეგულირებელ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ძირითადი და დამხმარე ბიზნეს პროცესები

პროცესი	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული	მიზანი/მოსალოდნელი შედეგი
B1 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განხორციელება „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების“ (ESG) მოთხოვნების შესაბამისად
B2 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატება	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განხორციელება „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების“ (ESG) მოთხოვნების შესაბამისად
B3 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განხორციელება „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების“ (ESG) მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - ESG სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები)
B4 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განხორციელება ESG სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების მოთხოვნების შესაბამისად
B5 ავტორიზაციის, აკრედიტაციის და უმაღლესი განათლების ექსპერტთა კორპუსების მართვა და განვითარება	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში ჩართული პირების პროფესიული განვითარება, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განხორციელება ESG სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების მოთხოვნების შესაბამისად

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ძირითადი და დამხმარე ბიზნეს პროცესები

<p>B6 უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელება და განვითარება /ავტორიზაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის გზით</p>	<p>უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური</p>	<p>უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების თანმდევი პროცესების განხორციელება ESG სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების მოთხოვნების შესაბამისად</p>
<p>B7 უცხო ქვეყნის სააგენტოს მიერ მინიჭებული აკრედიტაციის, მათ შორის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის მინიჭებული აკრედიტაციის აღიარება</p>	<p>უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური</p>	<p>ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების დაგეგმვისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისობა მის მიზნებთან ESG სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების მოთხოვნების შესაბამისად</p>
<p>B8 ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად და მის განმახორციელებელ დაწესებულებებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის ცენტრთან შეთანხმების პროცესის განხორციელება</p>	<p>უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური</p>	<p>უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (EHEA) შესაბამისად, ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული მიდგომის გათვალისწინება - European Approach for Quality Assurance of Joint Programmes</p>
<p>B9 უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარების ხელშეწყობა</p>	<p>უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური</p>	<p>(ESG) სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების მოთხოვნების დანერგვის ხელშეწყობა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება</p>
<p>B10 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ავტორიზაცია</p>	<p>პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური</p>	<p>პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განხორციელება (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის-ს ავტორიზაცია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების და ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათ შემდგომ სრულყოფაზე ზრუნვა</p>
<p>B11 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი</p>	<p>პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური</p>	<p>პროფესიული განათლების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების და</p>

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ძირითადი და დამხმარე ბიზნეს პროცესები

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება</p>		<p>პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფორმირების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განხორციელება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათ შემდგომ სრულყოფაზე ზრუნვა</p>
<p>B12 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა</p>	<p>პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური</p>	<p>პროფესიული განათლების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფორმირების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განხორციელება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათ შემდგომ სრულყოფაზე ზრუნვა</p>
<p>B13 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება</p>	<p>პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური</p>	<p>პროფესიული განათლების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფორმირების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განხორციელება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათ შემდგომ სრულყოფაზე ზრუნვა</p>
<p>B14 ავტორიზებულ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება</p>	<p>პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური</p>	<p>პროფესიული განათლების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფორმირების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე</p>

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ძირითადი და დამხმარე ბიზნეს პროცესები

		მექანიზმების განხორციელება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათ შემდგომ სრულყოფაზე ზრუნვა
B15 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის გზით	პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	პროფესიული განათლების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებების და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფორმირების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განხორციელება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათ შემდგომ სრულყოფაზე ზრუნვა
B16 პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების სერტიფიცირების პროცესის ადმინისტრირება	პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მაღალი კომპეტენციის მქონე პირთა ჩართულობის უზრუნველყოფა
B17 პროფესიული განათლების ექსპერტთა კორპუსის მართვა და განვითარება	პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული პირების პროფესიული განვითარება. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით შექმნილი ექსპერტთა კორპუსის მართვა და განვითარება
B18 პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარების ხელშეწყობა	პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების და სხვა დაინტერესებული მხარეების კონსულტაცია, ტრენინგები და სხვა
B19 პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება	პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ფორმალური განათლების ფარგლებში პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ძირითადი და დამხმარე ბიზნეს პროცესები

		უფლების მინიჭება მთავრობის 2019 წლის 15 მარტის დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად
B20 პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის დადასტურება	პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ფორმალური განათლების ფარგლებში, პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭება მთავრობის 2019 წლის 15 მარტის #131 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად
B21 პროფესიული განათლების ფარგლებში არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვება	პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	პროფესიული განათლების ფარგლებში, არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების მექანიზმების განვითარება "არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბერის №459 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად
B22 არაფორმალური განათლების კონსულტირების სპეციალისტთა სერტიფიცირება	პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	პროფესიული განათლების ფარგლებში, არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების პროცესში მაღალი კომპეტენციის მქონე პირთა ჩართულობის უზრუნველყოფა "არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბერის №459 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად
B23 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განხორციელება, მათ შემდგომ განვითარებაზე ზრუნვა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ძირითადი და დამხმარე ბიზნეს პროცესები

B29 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის მართვა და განვითარება	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული პირთა პროფესიული განვითარება
B30 ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარების ხელშეწყობა	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული პირთა პროფესიული განვითარება
B31 უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელება და განვითარება/აკრედიტაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის გზით	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების თანმდევი პროცესების განხორციელება ESG სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების მოთხოვნების შესაბამისად
B32 უმაღლესი კვალიფიკაციების ფორმირება/განვითარება	კვალიფიკაციების განვითარების სამსახური	სწავლის შედეგებზე დაფუძნებული, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციების განვითარება
B33 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და კლასიფიკატორის მონიტორინგი	კვალიფიკაციების განვითარების სამსახური	კვალიფიკაციების ხარისხის განვითარების მიზნით, ჩარჩოსა და კლასიფიკატორის მართვისა და განვითარების პერიოდული შემოწმება
B34 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს რეფერენსირება	კვალიფიკაციების განვითარების სამსახური	უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (QF-EHEA) და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (EQF-LLL) თავსებადობის უზრუნველყოფა
B35 უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება	საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახური	მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების ხელშეწყობა, როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთ
B36 დოკუმენტის აპოსტილით დამოწმების/ლეგალიზაციის უზრუნველსაყოფად საჭირო	საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახური	მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ძირითადი და დამხმარე ბიზნეს პროცესები

<p>ინფორმაციის სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის მიწოდება</p>		<p>ხელშეწყობა, როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთ</p>
<p>B37 სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების, აგრეთვე სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებისათვის/ ლეგალიზაციისათვის საჭირო მონაცემთა ბაზის ადმინისტრირება</p>	<p>საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახური</p>	<p>მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების ხელშეწყობა, როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთ</p>
<p>B38 საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურება</p>	<p>საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახური</p>	<p>მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების ხელშეწყობა, როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთ</p>
<p>B39 ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების მიერ მიღებული უმაღლესი განათლების სახელმწიფო აღიარება</p>	<p>საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახური</p>	<p>მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების ხელშეწყობა, როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთ</p>
<p>B40 ლიკვიდირებულ ან საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ დაწესებულებაში განათლებამიღებული იმ პირების, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი განათლების ან კვალიფიკაციის დადასტურებას, განათლების აღიარება</p>	<p>საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახური</p>	<p>მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების ხელშეწყობა, როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთ</p>
<p>B41 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირების – დევნილების მიერ მიღებული განათლების აღიარება</p>	<p>საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახური</p>	<p>მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების ხელშეწყობა, როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთ</p>

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ძირითადი და დამხმარე ბიზნეს პროცესები

<p>B42 საერთაშორისო დაცვის სტატუსის მქონე პირის მიერ მიღებული განათლების აღიარება</p>	<p>საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახური</p>	<p>მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების ხელშეწყობა, როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთ</p>
<p>B43 ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარება;</p>	<p>საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახური</p>	<p>მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების ხელშეწყობა, როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთ</p>
<p>B44 საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების პროცესის განხორციელება</p>	<p>საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახური</p>	<p>მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების ხელშეწყობა, როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთ</p>
<p>B45 საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული/გასაცემი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების რეესტრის ადმინისტრირება</p>	<p>საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახური</p>	<p>მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების ხელშეწყობა, როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთ</p>
<p>B46 განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული/უმაღლესი დიპლომის გაცემის უზრუნველყოფა</p>	<p>საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახური</p>	<p>მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების ხელშეწყობა, როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთ</p>

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ძირითადი და დამხმარე ბიზნეს პროცესები

<p>B47 განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის - დიპლომის ფორმის პროექტის ენობრივი სისწორის შემოწმება</p>	<p>საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახური</p>	<p>მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების ხელშეწყობა, როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთ</p>
<p>B48 წინასწარი თანხმობა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უცხოეთში დაგროვებული კრედიტების აღიარების თაობაზე</p>	<p>საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახური</p>	<p>მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის შემდგომი გაგრძელების ხელშეწყობა, როგორც საქართველოში, ისე საზღვრებს გარეთ</p>
<p>S1 ადამიანური რესურსის დაგეგმვა (ახალი თანამშრომლის სამსახურში მიღება)</p>	<p>ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახური</p>	<p>თანამედროვე უნარების მქონე, შესაბამისი პროფესიული ცოდნისა და მოტივირებული თანამშრომლებით ცენტრის დაკომპლექტება</p>
<p>S2 თანამშრომლის ინტეგრაცია</p>	<p>ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახური</p>	<p>კვალიფიციური ცოდნით აღჭურვილი თანამშრომლის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა</p>
<p>S3 თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება და შედეგების მართვა</p>	<p>ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახური</p>	<p>თანამშრომლის მიმართ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმება, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, მოტივირებული თანამშრომლისგან ცენტრისთვის სასურველი შედეგის მიღება</p>
<p>S4 სტაჟირება</p>	<p>ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახური</p>	<p>პროფესიული ზრდა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება და განვითარება, რაც ხელს შეუწყობს შემდგომ დასაქმებას</p>
<p>S5 კორესპონდენციის მართვა</p>	<p>ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახური</p>	<p>ცენტრის საქმისწარმოების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ცენტრის შიდა საქმიანობის მარეგულირებელი აქტების შესაბამისად</p>
<p>S6 არქივის მართვა</p>	<p>ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახური</p>	<p>ცენტრის საქმისწარმოების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფა, საქართველოს</p>

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ძირითადი და დამხმარე ბიზნეს პროცესები

		მოქმედი კანონმდებლობის და ცენტრის შიდა საქმიანობის მარეგულირებელი აქტების შესაბამისად
S7 ცენტრის ელექტრონული ფოსტის info@eqe.ge ადმინისტრირება	ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახური	ეფექტიანი კომუნიკაციის გზით ცენტრის სერვისებზე გაუმჯობესებული წვდომა
S8 საკანონმდებლო აქტის პროექტის მომზადება	იურიდიული სამსახური	ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელშეწყობა სამართლებრივი ბაზის განვითარების და მისი ეფექტიანად გამოყენების კუთხით
S9 ცენტრის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსა და სასამართლოში	იურიდიული სამსახური	ცენტრის ინტერესების დაცვა მე-3 პირებთან ურთიერთობებში და სასამართლო დავებში
S10 ცენტრის ბიუჯეტის დაგეგმვა	ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველო	საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფინანსური რესურსების უზრუნველყოფისა და ეფექტიანი მართვის გზით ცენტრის საქმიანობის ხელშეწყობა
S11 ცენტრის საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება და ბალანსის შედგენა	ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველო	საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფინანსური რესურსების უზრუნველყოფისა და ეფექტიანი მართვის გზით ცენტრის საქმიანობის ხელშეწყობა
S12 ცენტრის მიერ განსახორციელებელი პროგრამების ფინანსური წარმართვა და მონიტორინგი	ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველო	საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვის გზით ცენტრის საქმიანობის ხელშეწყობა
S13 ქონების მიღება/გაცემასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელება, გარდა სახელმწიფო შესყიდვებისა	ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველო	საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფინანსური და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის გზით ცენტრის საქმიანობის ხელშეწყობა
S14 სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა და ბიუჯეტირება	შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური	სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებისა და ცენტრის საკუთარი შემოსავლების მიზნობრივად და რაციონალურად განაწილება და გამოყენება
S15 სახელმწიფო და სხვა სახის შესყიდვების განხორციელება	შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური	ცენტრის საქმიანობის ხელშეწყობა, მისი სტრატეგიული მიზნებისა და სხვა ამოცანების განხორციელებაში

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ძირითადი და დამხმარე ბიზნეს პროცესები

S16 ცენტრის კუთვნილი ძირითადი საშუალებების და მატერიალური რესურსების აღრიცხვა, განაწილება და კონტროლი	შესყიდვებისა და მეტერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური	მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით ცენტრისა და მისი სტრუქტურული ერთეულების უზრუნველყოფა
S17 ცენტრის კუთვნილი ავტოპარკის მართვა და მონიტორინგი	შესყიდვებისა და მეტერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური	ცენტრის ავტომანქანების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების, დადგენილი საწვავის ლიმიტების აღრიცხვის და რაციონალურად ხარჯვის უზრუნველყოფა
S18 ცენტრში არსებული ტექნიკური საშუალებების და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და მონიტორინგი	შესყიდვებისა და მეტერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური	ცენტრში არსებული ტექნიკური საშუალებებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა
S19 ცენტრის სტრატეგიული გეგმის განვითარება და განახლება	დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური	ცენტრის ორგანიზაციული განვითარებისა და მისი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა
S20 ცენტრის სტრატეგიული გეგმის შესრულების შეფასება	დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური	ცენტრის ორგანიზაციული განვითარებისა და მისი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა
S21 ცენტრის სამოქმედო გეგმების განვითარება და განახლება	დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური	ცენტრის ორგანიზაციული განვითარებისა და მისი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა
S22 ცენტრის სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი	დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური	ცენტრის ორგანიზაციული განვითარებისა და მისი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა
S23 ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს ადმინისტრაციული მხარდაჭერა	დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური	ცენტრის საქმიანობის კოორდინირებული მართვის, ხარისხის გაუმჯობესების პროცესის ხელშეწყობა
S24 საერთაშორისო ორგანიზაციებში/ასოციაციებში/ქსელებში ცენტრის გაწევრიანების პროცესის წარმართვა	დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური	საერთაშორისო განათლების სივრცესთან საქართველოს განათლების სისტემის ჰარმონიზაციის ხელშეწყობა
S25 ცენტრის საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადების კოორდინაცია	დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური	ცენტრის საქმიანობის საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით განხორციელების ხელშეწყობა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ძირითადი და დამხმარე ბიზნეს პროცესები

<p>S26 ცენტრში მიმდინარე სამუშაო პროცესების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება</p>	<p>დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური</p>	<p>ცენტრის ორგანიზაციული განვითარებისა და მისი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა</p>
<p>S27 ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული საერთაშორისო შეფასების პროცესების კოორდინაცია</p>	<p>დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური</p>	<p>საერთაშორისო განათლების სივრცესთან საქართველოს განათლების სისტემის ჰარმონიზაციის ხელშეწყობა</p>
<p>S28 თემატური ანალიზის განხორციელების კოორდინაცია</p>	<p>დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური</p>	<p>კვლევებსა და შეფასებებზე დაყრდნობით ცენტრის მუშაობის ეფექტურობის გაზრდა</p>
<p>S29 ცენტრის ოფიციალური ვებგვერდის და სოციალური ქსელების ადმინისტრირება</p>	<p>საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველო</p>	<p>ცენტრის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, მისი ცნობადობისა და პოზიტიური იმიჯის ხელშეწყობა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე</p>
<p>S30 ცხელი ხაზის ადმინისტრირება</p>	<p>საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველო</p>	<p>მომხმარებელთა მომსახურების მაღალი ხარისხისა და ცენტრის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, მისი ცნობადობისა და პოზიტიური იმიჯის ხელშეწყობა, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე</p>
<p>S31 ელექტრონული ჟურნალის გამოცემა</p>	<p>საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველო</p>	<p>ელექტრონული ჟურნალის საშუალებით ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის პოპულარიზაცია</p>
<p>S32 მასმედიასთან ურთიერთობა, ცენტრის თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროფილის მქონე, ცნობად სააგენტოებთან</p>	<p>საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველო</p>	<p>ცენტრის ცნობადობისა და პოზიტიური იმიჯის ხელშეწყობა, განხორციელებულ რეფორმებზე, სიახლეებზე და ღონისძიებებზე საზოგადოების უკეთ ინფორმირება</p>
<p>S33 საპროტოკოლო საქმიანობის უზრუნველყოფა</p>	<p>საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველო</p>	<p>უცხო ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენლობის, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების შეხვედრების საპროტოკოლო უზრუნველყოფა</p>

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ძირითადი და დამხმარე ბიზნეს პროცესები

<p>S34 აუდიტის განხორციელება/გეგმიური და არაგეგმიური აუდიტორული შემოწმება</p>	<p>შიდა აუდიტის სამსახური</p>	<p>„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ და „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონებისა და ცენტრის შიდა საქმიანობის მარეგულირებელი აქტების შესაბამისად აუდიტის განხორციელება, ცენტრში მიმდინარე პროცესების ეფექტურად, ეფექტიანად და ეკონომიურად წარმართვა, ცენტრის ძირითადი მიზნების ხელშეწყობა, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ცენტრში მენეჯერული, ფინანსური და სხვა სახის კონტროლის სისტემების დანერგვის ხელშეწყობა</p>
<p>S35 განცხადების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება.</p>	<p>შიდა აუდიტის სამსახური</p>	<p>განცხადებაში დაფიქსირებული ფაქტების თაობაზე ინფორმაციის მოპოვება, შესაძლო გადაცდომის დადგენა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრა, რეკომენდაციების გაცემა პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის</p>
<p>S36 ცენტრის სტრუქტურული ერთეულების მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება მათი საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისთვის</p>	<p>შიდა აუდიტის სამსახური</p>	<p>ცენტრში მიმდინარე პროცესების ეფექტურად, ეფექტიანად და ეკონომიურად წარმართვა, ცენტრის ძირითადი მიზნების ხელშეწყობა, ცენტრში მენეჯერული, ფინანსური და სხვა სახის კონტროლის სისტემების დანერგვის ხელშეწყობა</p>
<p>S37 საჯარო ინფორმაციის გაცემა</p>	<p>საჯარო ინფორმაციის გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი</p>	<p>ცენტრის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ამაღლების ხელშეწყობა</p>
<p>S38 საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება</p>	<p>საჯარო ინფორმაციის გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი</p>	<p>ცენტრის თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება; პერსონალურ მონაცემთა დაცვის ხარისხის გაუმჯობესება</p>

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ძირითადი და დამხმარე ბიზნეს პროცესები

<p>S39 ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა</p>	<p>ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი</p>	<p>ცენტრის ხელმძღვანელობის მიერ გამოვლენილი ბიზნეს პროცესის/ების ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა</p>
<p>S40 შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა</p>	<p>შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი</p>	<p>ცენტრის ხელმძღვანელობის მიერ გამოვლენილი ბიზნეს პროცესის/ების განხორციელება შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ნორმებისა და წესების დაცვით. დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ფუნქციური შესაძლებლობების სამუშაოს უარყოფითი ასპექტებისაგან დაცვის სისტემის დანერგვა</p>
<p>S41 ცენტრის ბიუჯეტის გეგმის შესრულების მონიტორინგი</p>	<p>ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველო</p>	<p>საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფინანსური რესურსების უზრუნველყოფისა და ეფექტიანი მართვის გზით ცენტრის საქმიანობის ხელშეწყობა</p>
<p>S42 შიდა წარმოების ჩატარება.</p>	<p>შიდა აუდიტის სამსახური</p>	<p>ცენტრის პროცესების მიმდინარეობის გაუმჯობესება, რეკომენდაციების გაცემა საქმიანობის ეფექტურად გაზრდის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში შესაძლო გადაცდომის დადგენა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრა</p>
<p>S43 ინსპექტირების ჩატარება</p>	<p>შიდა აუდიტის სამსახური</p>	<p>შესაძლო გადაცდომის დადგენა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრა, პროცესების გაუმჯობესება, რეკომენდაციების გაცემა.</p>
<p>S44 კანონქვემდებარე აქტის პროექტის მომზადება</p>	<p>იურიდიული სამსახური</p>	<p>ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელშეწყობა სამართლებრივი ბაზის განვითარების და მისი ეფექტიანად გამოყენების კუთხით</p>

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ძირითადი და დამხმარე ბიზნეს პროცესები

<p>S45 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება.</p>	<p>იურიდიული სამსახური</p>	<p>ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელშეწყობა სამართლებრივი ბაზის განვითარების და მისი ეფექტიანად გამოყენების კუთხით</p>
<p>S46 საკოორდინაციო საბჭოს სხდომების ადმინისტრაციული მხარდაჭერა</p>	<p>დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური</p>	<p>საკოორდინაციო საბჭოს ეფექტიანი საქმიანობის ხელშეწყობა</p>
<p>S47 თანამშრომლის პროფესიული განვითარება</p>	<p>ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახური</p>	<p>საქმიანობის შესაბამისი პროფესიული უნარების აღჭურვით თანამშრომლის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა</p>
<p>S48 საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის შეფასება.</p>	<p>დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური</p>	<p>ცენტრის საქმიანობის კოორდინირებული მართვის, ხარისხის გაუმჯობესების პროცესის ხელშეწყობა</p>